

შპს აკადემიკოს ივ.  
ჯავახიშვილის სახელობის  
საშუალო  
სკოლა იმედი  
ლ. ასათიანის  
№96  
4600 ქუთაისი, საქართველო  
ტელ.: 0431 225720



LTD. Academic Iv.  
Javakhishvili Secondary  
School imedi  
L. Asatiani 96  
4600 Kutaisi  
Georgia  
Tel: 0431 225720

[info@schoolimedi.ge](mailto:info@schoolimedi.ge)  
[www.schoolimedi.ge](http://www.schoolimedi.ge)

ქ. ქუთაისი

06.09.2024 წ.

ბრძანება №2-04

ქ. ქუთაისის შპს აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის სახელობის საშუალო სკოლა  
იმედის სკოლის 7 წლიანი გეგმის დამტკიცების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის მე-2 პუნქტის  
საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დამტკიცდეს ქ. ქუთაისის შპს აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
საშუალო სკოლა იმედის სკოლის 7 წლიანი გეგმა ამავე ბრძანების დანართი N1-ის  
შესაბამისად;
2. დაევალოს სკოლის საქმისმწარმოებელს ამ ბრძანების შესრულების მიზნით შესაბამისი  
დონისძიებების გატარება;
3. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი  
თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრატის ქ. N11)

შპს აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის  
სახელობის საშუალო სკოლა იმედის  
დირექტორი:



/ც. გველეჯიანი/

ქ. ქუთაისის შპს აკადემიკოს  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
საშუალო სკოლა იმედი

## შეთანხმებულია პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე

ოქმი N1 06.09.2024 წელი

დამტკიცებულია

დირექტორის ბრძანება N2-04

სკოლის დირექტორი:



/ც. გველესიანი/.

შპს აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის სახელობის საშუალო  
სკოლა იმედის

სტრატეგიული გეგმა

(გრძელვადიანი და მოკლევადიანი)

ბრძანება N2-04

06.09.2024 წელი

ქალაქ ქუთაისის შპს აკადემიკოს

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

საშუალო სკოლა იმედი

## სტრატეგიული გეგმა

(მოკლე აღწერა)

ქალაქ ქუთაისის შპს აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის სახელობის საშუალო სკოლა იმედი სტრატეგიული გეგმა წარმოადგენს სკოლის გრძელვადიან განვითარების სამოქმედო დოკუმენტს. იგი შედგება: შესავალი ნაწილისაგან, შვიდწლიანი და ერთწლიანი სტრატეგიული გეგმისაგან, ასევე ერთწლიანი სამოქმედო გეგმისაგან. შესავალ ნაწილში განხილულია სკოლის ძირითადი მიმართულებები და ორინტირები, შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმაში ფორმულირებულია ძირითადი მიმართულებები და მიზნები. სამოქმედო გეგმა მოიცავს დროში გაწერილ მიზნების მისაღწევად დაგეგმილ საქმიანობებს, რომელიც სკოლის მისიიდან და სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმიდან გამომდინარეობს და კონკრეტული ამოცანების გადაჭრას ისახავს მიზნად. გეგმა ითვალისწინებს აქტივობების აღწერას, ახდენს ანგარიშებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულის იდენტიფიკაციას და მონიტორინგის განხორციელების საშუალებას იძლევა. სამოქმედო გეგმის შესრულების ანალიზი მიმდინარეობს ყოველი სასწავლო წლის ბოლოს, რის საფუძველზეც ცვლილებები და დამატებები შედის სკოლის სტრატეგიულ გეგმაში.

ქალაქ ქუთაისის შპს აკადემიკოს

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

საშუალო სკოლა იმედი

## შესავალი

სტრატეგიული გეგმის ძირითადი მიმართულებები და ორიენტირები

ძირითადი მიმართულებებია:

მართვისა და გადაწყვეტილებების სისტემატიზაცია:

სკოლის ადმინისტრაციული დოკუმენტაციის დახვეწა და დამტკიცება, აუმჯობესებს სკოლის ფორმალურ კულტურას, რაც მნიშვნელოვანია ორგანიზებული განვითარებისათვის. ძირითადი ორიენტირი მთელი წლის განმავლობაში იქნება იურიდიული დოკუმენტაციის სრულყოფა, სასწავლო პროგრამებისა და სასწავლო გეგმის განვითარება შესაბამისი მოთხოვნების მიხედვით.

საქმიანობის მონიტორინგისა და სკოლის თვითშეფასების მუდმივმოქმედი ციკლის დანერგვა:

სასწავლო წლის განმავლობაში ჩატარდება შუალედური და წლიური თვითშეფასება, რომლისთვისაც გამოყენებული იქნება ინტერვიუები, კითხვარები, ფოკუს-ჯგუფები და დოკუმენტაციის ანალიზი.

აღნიშნული საქმიანობები ხელს შეუწყობს ობიექტური თვითშეფასების სისტემის დანერგვას, რაც თავისთავად უზრუნველყოფს სწორი გადაწყვეტილებების მიღებას და სკოლის, როგორც თვითგანვითარებად ორგანიზაციად ჩამოყალიბებას.

ქალაქ ქუთაისის შპს აკადემიკოს

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

საშუალო სკოლა იმედი

**მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოწესრიგება:** სასწავლო წლის განმავლობაში შუალედური და წლიური მონიტორინგის/შეფასების შედეგებისა და რეკომენდაციების საფუძველზე საკლასო ოთახები, ბიბლიოთეკა, საკონფერენციო დარბაზი და სპორტული დარბაზი საჭიროებებიდან გამომდინარე მუდმივად აღიჭურვება სასწავლო ინვენტარითა და საჭირო სასწავლო თვალსაჩინო მასალით, რათა სწავლება/სწავლის პროცესი გახდეს მიზნობრივი და კრეატიული როგორც მოსწავლეებისათვის ასევე მასწავლებლებისათვის.

**მასწავლებელთა პროფესიულ განვითარების რესურსები:**

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების შეფასებისა და წახალისების რეიტინგულ-დაგროვებითი მოდელის დანერგვა, რომელიც სავალდებულო იქნება ყველა მასწავლებლისათვის. აღნიშნული მოდელი ხელს შეუწყობს მასწავლებელს საკუთარი შესაძლებლობების თვითრეალიზებასა და კარიერულ ზრდას. შიდა პროფესიული გამოცემებით (ჰენდაუთები, გაკვეთილის მოდელები, სილაბუსები სასწავლო რესურსები) ბიბლიოთეკის გამდიდრება ხელს შეუწყობს

ქალაქ ქუთაისის შპს აკადემიკოს

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

საშუალო სკოლა იმედი

მოქმედ მასწავლებლებს კარიერულ წინსვლაში, დაგროვილი გამოცდილების გაზიარებაში, ხოლო დამწყებ მასწავლებლებს დაეხმარება სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვაში. სკოლის პროფესიული განვითარების სისტემის ჩამოყალიბება, ემსახურება სკოლის მასწავლებლების საჭიროებების დადგენასა და შესაბამისი კვალიფიკაციის ამაღლების სხვადასხვა აქტივობების შეთავაზებას, რაც ხელს შეუწყობს მასწავლებელთა კვლევითი საქმიანობების დაგეგმვასა და წარმართვას. საგნობრივი კათედრების ეფექტური ფუნქციონირება კი განმსაზღვრელია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეფექტურობისა.

**სწავლის/სწავლება ხარისხის ამაღლება:**

მოსწავლეთა სწავლის მოტივაციის ამაღლება და მათი შესაძლებლობების თვითრეალიზების ხელშეწყობა, რომლის ძირითადი ორიენტირებია: მოსწავლეთა შესაძლებლობებისა და ინტერესების კვლევა, ინდივიდუალური განვითარების რუკების შემუშავება, რომლის მიხედვითაც დაიგეგმება სხვადასხვა აქტივობები და ღონიძირებები.

ქალაქ ქუთაისის შპს აკადემიკოს

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

საშუალო სკოლა №10

სკოლის ბიბლიოთეკის ეფექტურად ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით აღიჭურვება ბიბლიოთეკა სათანადო ლიტერატურით, ინტერნეტით. მოეწყობა სამკითხველო სივრცე, ჩატარდება მხატვრული კითხვის გაკვეთილები, ლიტერატურული წრეები, სხვადასხვა წრეები, რაც ხელს შეუწყობს მოზარდებში კითხვის უნარების გაუმჯობესებას. სკოლის პედაგოგებში დაგროვილი მასალის (მეთოდური ლიტერატურა, მოსწავლეთა საკითხავი მასალა, სასწავლო რესურსები და სხვა) საფუძველზე მეთოდური ჰენდაუთების, დაკვირვების ჩანაწერების, პრეზენტაციების, სასწავლო რესურსების კატეგორიზაცია შენახვა და სხვა.

მოსწავლეთა საჭიროების კვლევის საფუძველზე საგნობრივი პროგრამებისა და სასწავლო გეგმების დახვეწა გაუმჯობესება: ყოველი სასწავლო წლის ბოლოს საგნის პედაგოგები, კლასის ხელმძღვანელები, ადგენენ მოსწავლეთა მიღწევებსა და საჭიროებს ანალიზებზე სკოლის საგნობრივ სასწავლო გეგმებს და გამოკვეთილი კლასის საჭიროების, ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით შეაქვთ ცვლილება დამატებები და აღუმჯობესებენ საგნობრივ პროგრამებს.

მოსწავლეებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება და დამატებითი განათლების უზრუნველყოფა: სკოლა ზრუნავს მოსწავლეთა არა მარტო აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე არამედ ხელს უწყობს მოზარდებს ფიზიკური, სულიერი და ინტელექტუალური შესაძლებლობების განვითარებას. ამისათვის სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა ინტერესების შესაბამისი სპორტული, შემოქმედებითი,

ქალაქ ქუთაისის შპს აკადემიკოს

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

საშუალო სკოლის მეთ

შემეცნებითი-გასართობი ღონისძიებების ორგანიზებას, სკოლის გარეთ დაგეგმილ საქალაქო, რესპუბლიკურ და საერთაშორისო აქტივობებში მონაწილეობას, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეების გარემოში ადაპტაციას და შესაძლებლობების თვითრეალიზებას.

**მოსწავლეთა და სკოლის კურსდამთავრებულთა მიღწევების კვლევა და მათი მონაცემთა ბაზის შექმნის უზრუნველყოფა:** სასწავლო წლის განმავლობაში სკოლის ადმინისტრაციას, საგნის მასწავლებლებს, კლასის დამრიგებელს შეაქვს ინფორმაცია სკოლის მოსწავლეების აკადემიური მოსწრების, დისციპლინის და სხვა აქტივობების შესახებ კომპიუტერში. აღნიშნული ინფორმაციის საფუძველზე სასწავლო წლის ბოლოს ტარდება მოსწავლეთა და სკოლის კურსდამთავრებულთა მიღწევების კვლევა, მზადდება ანგარიში და რეკომენდაციები სასწავლო პროგრამების და სასკოლო სასწავლო გეგმის სრულყოფისათვის, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში მიღწევების გაუმჯობესებას.

**სკოლის კულტურის გაუმჯობესებაზე ზრუნვა:**

**შიდა სასკოლო ურთიერთობების გაუმჯობესებაზე ზრუნვა:** ძირითადად მიმართულია სკოლის წარმომადგენელთა უფლება-მოვალეობების გააზრებისა და გაცნობიერებისაკენ; რათა დაუახლოვდეს ერთმანეთს ფორმალური (იურიდიულად დადგენილი წესები) და არაფორმალური (ტრადიციები, ანგარიშვალდებულების სისტემა, მოვალეობები და სხვა) კულტურა, რაც ხელს შეუწყობს სკოლის წარმომადგენლებს შორის პასუხისმგებლობის გადანაწილებას, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფეროს გააუმჯობესებას.

ქალაქ ქუთაისის შპს აკადემიკოს

ივანე ჯავახიშვილის სახელობის


საშუალო სკოლა იმედი

გარე პარტნიორული ურთიერთობების განვითარება მიმართულია სამთავრობო, არასამთავრობო, საერთაშორისო ორგანიზაციებთან პარტნიორული ურთიერთობების გაძლიერებისაკენ. ამ ორგანიზაციებში დაგროვილი წარმატებული გამოცდილების სკოლის სივრცეში დანერგვა/აპრობაცია ხელს შეუწყობს, როგორც სკოლის დადებითი იმიჯის შექმნასა და ამაღლებას, ასევე სკოლის წარმომადგენელთა მიღწევების გაუმჯობესებას.

უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა ძირითადი ორიენტირია ფიზიკური და ფსიქო-სოციალური გარემოს სრულყოფა, უსაფრთხოების ნორმების დაცვა პანდემიასთან (მასწავლებელთა მორიგეობის, ვიდეოკონტროლის, სამედიცინო დახმარების გაწევის, საგანგებო სიტუაციების, და სხვა) რაც ხელს შეუწყობს სკოლაში დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფეროს შექმნას, სადაც სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრი შეძლებს შესაძლებლობების მაქსიმუმის გამოვლენას და თვითრეალიზებას.

მშობელთა ჩართვა სასკოლო ცხოვრებაში: სკოლა ზრუნავს, ხელი შეუწყოს მშობელთა მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში, სკოლის ფსიქო-სოციალური გარემოს გაჯანსაღებას სკოლის, მშობლის და მოსწავლის დაახლოების გზით.

ამისათვის სკოლა მშობლებთან მუდმივად ატარებს შეხვედრებს, ღია კარის დღეებს, ღია გაკვეთილებს, სასკოლო ღონისძიებებს, სადაც მშობელთა ჩართულობა წახალისებულია, ასევე სკოლა იკვლევს და ითვალისწინებს მშობელთა ინტერესებს, მოთხოვნილებებს. შექმნილია მშობელთა სასკოლო კომიტეტი.

სკოლის დირექტორი: /ც. გველესიანი/.

ბრძანება N2-04

06.09.2024 წელი

ქალაქ ქუთაისის შპს აკადემიკოს  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
საშუალო სკოლა იმედი

სტრატეგიული გეგმა (2022-2029)

| პროგრამული მიმართულებები  | დრო       |      |           |      |           |      |           |      |           |      |           |      |           |      |
|---|-----------|------|-----------|------|-----------|------|-----------|------|-----------|------|-----------|------|-----------|------|
|   | 2022-2023 |      | 2023-2024 |      | 2024-2025 |      | 2025-2026 |      | 2026-2027 |      | 2027-2028 |      | 2028-2029 |      |
|   | 2022      | 2023 | 2023      | 2024 | 2024      | 2025 | 2025      | 2026 | 2026      | 2027 | 2027      | 2028 | 2028      | 2029 |
| მართვისა და გადაწყვეტილებების სისტემატიზაცია                                    |           | ✓    | ✓         | ✓    | ✓         | ✓    | ✓         | ✓    | ✓         |      |           |      |           |      |
| სკოლის ადმინისტრაციული დოკუმენტაციის დახვეწა და დამტკიცება                      | ✓         | ✓    | ✓         | ✓    | ✓         | ✓    | ✓         | ✓    |           |      |           |      |           |      |
| სკოლის ავტორიზაციის მოპოვება  | ✓         | ✓    | ✓         | ✓    | ✓         | ✓    | ✓         | ✓    |           |      |           |      |           |      |
| საქმიანობის მონიტორინგისა და სკოლის თვითშეფასების მუდმივმოქმედი ციკლის დანერგვა | ✓         | ✓    | ✓         | ✓    | ✓         | ✓    | ✓         | ✓    |           |      |           |      |           |      |
| უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა   | ✓         | ✓    | ✓         | ✓    | ✓         | ✓    | ✓         | ✓    |           |      |           |      |           |      |
| სარეკლამო საქმიანობის წარმართვის უზრუნველყოფა                                   | ✓         | ✓    | ✓         | ✓    | ✓         | ✓    | ✓         | ✓    |           |      |           |      |           |      |
| მატირიკული ტექნიკური უზრუნველყოფა   | ✓         | ✓    | ✓         | ✓    | ✓         | ✓    | ✓         | ✓    |           |      |           |      |           |      |
| მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა                                | ✓         |      |           |      |           |      |           |      |           |      |           |      |           |      |
| ბიბლიოთეკის გადართობა პროფესიული ლიტერატურით და სასწავლო რესურსებით             | ✓         | ✓    | ✓         | ✓    | ✓         | ✓    | ✓         | ✓    |           |      |           |      |           |      |

შემსრულებელი  
სკოლის დირექტორი

| სკოლის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიზნით სხვადასხვა აქტივობების ორგანიზება  |   |   |   |   |   |   |   |   |   |   |   |   |   |   |   |   |   |   | შემსრულებელი სკოლის დირექტორი |
|--|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|-------------------------------|
| პედაგოგებში კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა  | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ |                               |
| საგნობრივი კათედრების ეფექტურად ფუნქციონირების მიზნით დირექტორის ბრძანებით დეპარტამენტის ხელმძღვანელის თანამდებობის უმცირესობა, რომლებიც კათედრის თავმჯდომარესთან ერთად სათავეში ჩაუდგებიან ცალკეულ კათედრებს. | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ |                               |
| სწავლება/სწავლის ხარისხის ამაღლება   | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ |                               |
| მოსწავლის სწავლის მოტივაციის ამაღლება და მათი შესაძლებლობების თვითრეალიზების ხელშეწყობა  | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ |                               |
| სკოლის ბიბლიოთეკის ეფექტურად ფუნქციონირების ხელშეწყობა   | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ |                               |
| მოსწავლეთა საქმიანობების კვლევის საფუძველზე საგნობრივი პროგრამებისა და სასწავლო გეგმების დახვეწა გაუმჯობესება (სტანდარტის ცვლილება)  | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ |                               |
| მოსწავლეებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დაკვირვება და დამატებითი განათლების უზრუნველყოფა  | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ |                               |
| სკოლის კულტურის გაუმჯობესებაზე ზრუნვა  | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ |                               |
| შიდა სასკოლო ურთიერთობების გაუმჯობესებაზე ზრუნვა   | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ |                               |
| გარე პარტნიორული ურთიერთობების განვითარება   | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ |                               |
| მშობელთა ჩართვა სასკოლო ცხოვრებაში   | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ |                               |

